სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს სხდომა
№ 1

31 იანვარი 2022, 14:00 საათი, თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. შარვაშიძე გიორგი, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. აბაშიძე ზურაბ
3. ავაზაშვილი ნიკოლოზ
4. ამირანაშვილი ავთანდილ
5. ანანიაშვილი ნათელა
6. გაგნიძე ნონა
7. ზაუტაშვილი მარინე
8. კვინიკაძე მურმან
9. კოპალეიშვილი მაია
10. ლობჟანიძე გია
11. მაღრაძე ვახტანგ
12. მინდაძე ნინო
13. სილაგაძე ავთანდილ
14. ფერაძე გოჩა
15. ღვედაშვილი გიორგი
16. ღონღაძე ალექსანდრე
17. ყარალაშვილი თამაზ
18. შავლაყაძე ნუგზარ
19. შალიკაშვილი მორის
20. შანიძე რევაზ
21. შენგელია თემურ

22. ჩიტაშვილი მარინე

23. წერეთელი მზია

24. ხარაიშვილი ეთერ

25. ხაჩიძე მანანა

26. ხუსკივაძე მამუკა

27. ხუციშვილი ქეთევან

სხდომის მდივანი: მზექალა აჭაიძე,
რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლაშა საღინაძე (თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი), ნინო გვენეტაძე (თსუ-ს რექტორის მოადგილე), ირმა გრძელიძე (თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), გიორგი ღაღანიძე (თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი), თამარ ზარანდია (თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი), რამაზ ხომერიკი (თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი), თამარ ჭელიძე (თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ლევან საბაური (თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ნანა ჯაფარიძე (თსუ-ს რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მთავარი სპეციალისტი).

კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო აკადემიური საბჭოს სხდომა ტარდება დისტანციურად, ელექტრონული საშუალების - zoom-ის გამოყენებით. თსუ აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ აკადემიური საბჭოს წევრებს ელექტრონული ფოსტის მისამართებზე დაეგზავნათ დისტანციური სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. იურიდიულ ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების დამტკიცება;
2. იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილება სწავლის საფასურის გაზრდასთან დაკავშირებით;
3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების დამტკიცება;
4. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში ასაკობრივი ზღვარის მოხსნა;
5. ცვლილებების განხორციელება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში;
6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცება;
7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესში განსახორციელებელი ცვლილება;
8. ცვლილებების განხორციელება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში;
9. მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცება;
10. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;
11. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გამო აკადემიური საბჭოს დადგენილებებში განსახორციელებელი ცვლილებები.

სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

საკითხი 1*: იურიდიულ ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების დამტკიცება;*

თ. ზარანდიამ წარუდგინა აკადემიურ საბჭოს იურიდიულ ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობები დასამტკიცებლად.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 2: *იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილება სწავლის საფასურის გაზრდასთან დაკავშირებით;*

თ. ზარანდიამ გააცნო აკადემიურ საბჭოს საკითხი. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წლებია წარმატებით ფუნქციონირებს. ამ პერიოდის განმავლობაში იგი ინარჩუნებს ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად და კონკურენტურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ადგილს. მისი მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს ის აუცილებელი თვისებები, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. წლების განმავლობაში პროგრამამ არაერთი წარმატებული შედეგი გამოავლინა - პროგრამის კურსდამთავრებულები ამკვიდრებენ სამართლის სფეროსთან დაკავშირებულ ღირებულებებს და იმუშავებენ მათ დასამკვიდრებლად ინოვაციურ მეთოდებს, მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, ქმნიან სამეცნიერო პუბლიკაციებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს და ა.შ. აღნიშნულიპროგრამა მაღალ-მოთხოვნადია და დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობა პერმანენტულად იზრდება. ამგვარი საგანმანათლებლო პროგრამა მოითხოვს მაღალ დანახარჯებს, მაღალკვალიფიციური პროფესურის დაქირავებისა და ჩართულობისათვის, ასევე საპარტნიორო პროექტების

განხორციელებისათვის. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (22 პროფესორი, 30 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები (11), რომელთაც აქვთ სამართლის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. ამასთან, სამართლის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება დოქტორანტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. ფაკულტეტი, ასევე, ახორციელებს თავისი აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული თანაშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლებას. დღესდღეობით პროგრამის საფასური წარმოადგენს 2250 ლარს. პროგრამის მაღალი რეიტინგის და ხარისხის შესანარჩუნებლად და შემდგომი ინტერნაციონალიზაციის მიზნების გასაღრმავებლად საჭიროდ მიაჩნია ფაკულტეტს სწავლის საფასურის ზრდა 3900 ლარამდე.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 3: *ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების დამტკიცება;*

რ. ხომერიკმა გააცნო აკადემიურ საბჭოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ოთხი მიმართულებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობები დასამტკიცებლად.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 4: *ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში ასაკობრივი ზღვარის მოხსნა;*

რ. ხომერიკმა გააცნო აკადემიურ საბჭოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შუამდგომლობა, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთათვის ორი მიმართულებით - **ბიოლოგიის დეპარტამენტის** ბიოქიმიის კათედრასა და **ქიმიის დეპარტამენტის** ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე ასაკობრივი შეზღუდვის მოხსნის შესახებ. ფაკულტეტის აზრით, ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება მიზანშეწონილი არ არის გარკვეულ დეპარტამენტებში, რადგან არის საშიშროება, რომ ასაკობრივი შეზღუდვა გამოიწვევს სწავლების ხარისხის გაუარესებას. ამიტომ, ასაკოვან კადრებს უნდა მიეცეთ კონკურსში მონაწილეობის საშუალება, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასწავლო-სამეცნიერო პროცესის მდგრადობა, აღნიშნა რ. ხომერიკმა.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა დისკუსია. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ არ შეიძლება გაგრძელდეს ასეთი გამონაკლისების დაშვება. მიზანშეწონილია, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ასაკობრივი შეზღუდვა - 65 წელი, გაიზარდოს 70 წლამდე.
მ. კოპალეიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭიროა საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება. მის მოსაზრებას დაეთანხმნენ გ. ფერაძე და ა. სილაგაძე. გ. შარვაშიძის და მ. ჩიტაშვილის აზრით, შესაძლოა ეს საკითხი ჯერ შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციით დარეგულირდეს. რექტორის თხოვნით დაევალა იურიდიულ დეპარტამენტს, რომ უახლოესი სხდომისთვის წარმოადგინოს ცვლილების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ხმათა უმრავლესობით (1 წინააღმდეგი - გ. შარვაშიძე) მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 5: *ცვლილებების განხორციელება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში;*

თ. ჭელიძემ წარუდგინა აკადემიურ საბჭოს **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები:

სადოქტორო პროგრამა „ქიმია“:

ცვლილება	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხო ენასთან მიმართებით შეიცვალოს და ფორმულირდეს შემდეგნაირად: ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეზე დადასტურება;
ცვლილება	”სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ გახდა სავალდებულო, შესაბამისი ცვლიელბა შევიდა სასწავლო გეგმაში, სილაბუსში და შედეგების რუკაში
ცვლილება	გადაიხედა შედეგები კურსებში „დოქტორანტის სემინარი 1“ და „დოქტორანტის სემინარი 2
საფუძველი	აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები

სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“:

ცვლილება	სწავლების ენად განისაზღვრა ქართული ინგლისურენოვანი კომპონენტით
ცვლილება	პროგრამის ხელმძღვანელებს დაემატა პროფესორი რალფ მაიერი, გოტინგენის უნივერსიტეტი
საფუძველი	ინგლისურენოვანი მათემატიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლა.

სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“:

ცვლილება	**შესწორდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, განისაზღვრა შემდეგნაირად:** ➢ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, კერძოდ, ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან: o მეცნიერების ბაკალავრი/ბაკალავრი ქიმიაში, o მეცნიერების ბაკალავრი/ბაკალავრი ბიოლოგიაში, ეკოლოგიაში, ფიზიკაში მეორადი სპეციალობით „ქიმია“ o მეცნიერების/ინჟინერიის ბაკალავრი/ბაკალავრი ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში, o ფარმაციის ბაკალავრი. ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➢ გამოცდა სპეციალობაში (ჩატარდება წერითი ფორმით, კრებსითი – ზოგადი, არაორ-განული, ორგანული, ფიზიკური და ანალიზური ქიმია). ➢ ინგლისური ენის (B1 დონის შესაბამისი) გამოცდა ან B1 დონის შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი
ცვლილება	დაშვების წინაპირობებს დაემატა „ინგლისური ენის (B1 დონის შესაბამისი) გამოცდა ან B1 დონის შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი“

ცვლილება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია - პროგრამის ყველა მოდულში სავალდებულო კომპონენტად განსაზღვრულია ინგლისური ენის B2 დონის მიღწევის შესაძლებლობა.
ცვლილება	დაზუსტდა შემდეგი სასწავლო კურსების შედეგები (სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოყვანილი კურსის შინაარსთან;): ❍ ”თანამედროვე ქიმიის თეორიული საფუძვლები” ❍ „ბიომეტალორგანული ქიმია“, ❍ ”ფიზიოლოგიურად აქტიურ ბუნებრივ ნაერთთა კვლევა 1“ ”ფიზიოლოგიურად აქტიურ ბუნებრივ ნაერთთა კვლევა 2» ❍ „კომპლექსნაერთთა სტერეოქიმია“, ❍ „სურნელოვან ნივთიერებათა ქიმია“,
ცვლილება	ყველა საგანში სადაც არის ლაბორატორიული მეცადინეობა განისაზღვრა მინიმალური კ ომპეტენციის ზღვარი 25%-ის ოდენობით.
ცვლილება	გათვალისინებული იქნა რეკომენდაცია, შეფასების კრიტერიუმები გაიწერა შემდეგენაირად: **ხელმძღვანელის შეფასება - 20 ქულა** ▪ ამოცანის დასმა – სისრულე და მართებულობა - 5 ქულა ▪ ამოცანის გადაწყვეტის თეორიული ასპექტების რელევანტურობა - 5 ქულა ▪ ამოცანის გადაწყვეტის შერჩეული ტექნოლოგიის აქტუალობა - 5 ქულა ▪ ამოცანის გადაწყვეტის სისრულე - 5 ქულა **რეცენზირება - 20 ქულა** ქულები ნაწილდება შემდეგნაირად: ▪ კვლევების აქტუალობა და სიახლე - 5 ქულა ▪ ლიტერატურის მიმოხილვა - 3 ქულა ▪ ამოცანის გადაწყვეტის თეორიული ასპექტების საკვლევ თემასთან შესაბამისობა - 5 ქულა ▪ ამოცანის გადაწყვეტის შერჩეული ტექნოლოგიების აქტუალობა და სისრულე - 5 ქულა ▪ სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური და ვიზუალური მხარე - 2 ქულა. **საჯარო დაცვა: 60 ქულა, მათ შორის** ▪ სამაგისტრო ნაშრომში დასმული ძირითადი პრობლემის(ების) წარმოჩენა; სამაგისტრო თემის აქტუალობისა და სიახლის წარმოჩენა - 10 ქულა ▪ დარგობრივი ცოდნა: საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო და ციტირებული ლიტერატურის დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი - 10 ქულა ▪ კვლევის პროცესში ადეკვატური მეცნიერული მეთოდების შერჩევა და/ან ადაპტირება, მათი გამოყენება. კვლევის სისრულე - 10 ქულა ▪ ანალიზის, არგუმენტირებისა და დასკვნის უნარი: ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნები/კვლევის შედეგები - 10 ქულა ▪ აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი: დაცვის პროცესში დასმულ კითხვებზე ამომწურავი და დასაბუთებული პასუხების გაცემა - 10 ქულა ▪ პრეზენტაციის სტრუქტურა (ვიზუალური და შინაარსობრივი მხარე) - 10 ქულა. **კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები:** ❍ დაკმაყოფილებულია სრულად - მაქსიმალური შეფასების 96-100%;

	) დაკმაყოფილებულია თითქმის სრულად, არის უმნიშვნელო ხარვეზები/შენიშვნები - მაქსიმალური შეფასების 81-95%;) მეტწილად დაკმაყოფილებულია, არის ხარვეზები - მაქსიმალური შეფასების 61-80%;) ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი - მაქსიმალური შეფასების 36-60%;) მეტწილად არ არის დაკმაყოფილებული - 1-35%;) სრულიად არ აკმაყოფილებს - 0%. თითოეულ რუბრიკაში შესაძლებელია არამთელი შეფასება, საბოლოო შედეგი მრგვალდება მთელ რიცხვამდე
საფუძველი	აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები

სამაგისტრო პროგრამა „ქიმიური ექსპერტიზა“:

ცვლილება	საგნებს მიენიჭა წინაპირობები: 1. „ნივთიერებათა ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდები“, „ნივთიერებათა კვლევის ოპტიკურ-სპექტროსკოპიული მეთოდები“, „ნივთიერებათა კვლევის მას-სპექტრომეტრული და რეზონანსული მეთოდები - წინაპირობა: „თანამედროვე ინსტრუმენტული ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები“. 2. „სამკურნალწამლო ნივთიერებათა კვლევის და ექსპერტიზის მეთოდები“ - წინაპირობა: „თანამედროვე ინსტრუმენტული ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები“ და „სერტიფიცირება-აკრედიტაციის საერთაშორისო და ეროვნული ნორმატივები“. 3. „არაორგანულ ნივთიერებათა ანალიზის ემისიური და აბსორბციული მეთოდები“ - წინაპირობა: „ნივთიერებათა კვლევის ოპტიკურ-სპექტროსკოპიული მეთოდები“. 4. „სასმელი და მინერალური წყლების ანალიზი და ექსპერტიზა“ - წინაპირობ: „გარემოს მონიტორინგი და სერტიფიცირება“. შესაბამისი ცვლილებები შევიდა სასწავლო გეგმასა და სილაბუსებში.
ცვლილება	***1. კურსში "თანამედროვე ინსტრუმენტული ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები" სწავლის შედეგი შესწორდა და შესაბამისობაში მოვიდა კურსის შინაარსთან:*** **ცოდნა და გაცნობიერება:** მაგისტრანტის შეუძლია) ჩამოაყალიბოს თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები.) აღწეროს სხვადასხვა ინსტრუმენტული მეთოდის შესაძლებლობები და ლიმიტები **უნარი:** მაგისტრანტს შეუძლია) მიღებული შედეგები, დასკვნები და მოსაზრებები წარუდგინოს პროფესიულ საზოგადოებას, მონაწილეობა მიიღოს შედეგების განსჯასა და ნებისმიერი ტიპის პროფესიულ დისკუსიებში.) თეორიული ცოდნის დამოუკიდებლად ამაღლება, სწავლის პროცესის თავისებურებების ანალიზი და სტრატეგიული დაგეგმვა. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** მაგისტრანტი

	) ლიტერატურული წყაროების და ანალიზის და არსებული რესურსების მიხედვით დამოუკიდებლად ახორციელებს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზს;) გეგმავს სხვადასხვა ქიმიური ანალიზს, მათ შორის კვების პროდუქტების, გარემოს, სამკურნალო საშუალებების და ა.შ. თანამედროვე ინსტრუმენტული ანალიზის მეთოდების გამოყენებით ***2. კურსში აგრეთვე სილაბუსში „სერტიფიცირება-აკრედიტაციის საერთაშორისო და ეროვნული ნორმატივები" შესწორდა სწავლის შედეგი და შესაბამისობაში მოვიდა კურსის შინაარსთან:*** **ცოდნა და გაცნობიერება**) მაგისტრანტი აყალიბებს და აანალიზებს GLP, GCLP, GCLP, Codex Alimentarous და ISO საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, კვების პროდუქტების, სამკურნალო საშუალებების და ქიმიური ლაბორატორიების მოწყობის თანამედროვე ნორმატივებსა და წესებს. **უნარი:** კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს შეუძლია) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს ლაბორატორიის დოკუმენტაცია და ტექნიკური აღჭურვილობა შესაბამისი აკრედიტაციის გასავლელად;) შეაფასოს ლაბორატორიის არსებული მდგომარეობა საძიებო სტანდარტთან მიმართებაში;) მიღებული ცოდნის გამოყენებით პროფესიულ საზოგადოებას წარუდგინოს საკუთარი დასკვნები, შეფასებები და ლაბორატორიის განვითარების გეგმა საძიებო სტანდარტთან მიმართებაში. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს) პირველადი წყაროებსა და საერთაშორისო და ეროვნულ გაიდლაინებზე დაყრდნობით (GLP, GCLP, GCLP, Codex Alimentarous და ISO) მოამზადოს ხასისხის სახელმძღვანელო სხვადასხვა პროფილის ლაბორატორიების მოთხოვნების გათვალისწინებით;) პირველად წყაროებსა და საერთაშორისო გაიდლაინებზე დაყრდნობით მოამზადოს სტანდარტულ პროცედურათა თანმიმდევრობები (SOP) ლაბორატორიის სხვადასხვა კომპონენტისათვის და ანალიზური მეთოდებისთვის;) ჩაატაროს ლაბორატორიის შიგა აუდიტი და გამოავლინოს საერთაშორისო და ეროვნულ ნორმატივებთან არსებული შეუსაბამობები, შეადგინოს შესაბამისი შეფასების აქტი და მაკორექტირებელ ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი.
ცვლილება	განხორციელდა ლაბორატორიული სამუშაოს საათების გაზრდა 1 აკადემიური საათით სალექციო საათების ხარჯზე, სალექციო მასალის შესაბამისი ნაწილი დემონსტრირებული იქნება ლაბორატორიული მეცადინეობის დროს. ცვლილებები შევიდა ორი საგნის საათობრივ განაწილებაში: „ნივთიერებათა ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდები" და „ნივთიერებათა კვლევის ოპტიკურ-სპექტროსკოპიული მეთოდები".
ცვლილება	იმ კურსებში რომლებიც ლაბორატორიულ სამუშაოს შეიცავს, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრა მაქსიმალური შეფასების 25 %-ით.
ცვლილება	გათვალისინებული იქნა რეკომენდაცია, შეფასების კრიტერიუმები გაიწერა შემდეგენაირრად:

	ხელმძღვანელის შეფასება - 20 ქულა ▪ ამოცანის დასმა – სისრულე და მართებულობა - 5 ქულა ▪ ამოცანის გადაწყვეტის თეორიული ასპექტების რელევანტურობა - 5 ქულა ▪ ამოცანის გადაწყვეტის შერჩეული ტექნოლოგიის აქტუალობა - 5 ქულა ▪ ამოცანის გადაწყვეტის სისრულე - 5 ქულა **რეცენზირება - 20 ქულა** ქულები ნაწილდება შემდეგნაირად: ▪ კვლევების აქტუალობა და სიახლე - 5 ქულა ▪ ლიტერატურის მიმოხილვა - 3 ქულა ▪ ამოცანის გადაწყვეტის თეორიული ასპექტების საკვლევ თემასთან შესაბამისობა - 5 ქულა ▪ ამოცანის გადაწყვეტის შერჩეული ტექნოლოგიების აქტუალობა და სისრულე - 5 ქულა ▪ სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური და ვიზუალური მხარე - 2 ქულა. **საჯარო დაცვა: 60 ქულა, მათ შორის** ▪ სამაგისტრო ნაშრომში დასმული ძირითადი პრობლემის(ების) წარმოჩენა; სამაგისტრო თემის აქტუალობისა და სიახლის წარმოჩენა - 10 ქულა ▪ დარგობრივი ცოდნა: საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო და ციტირებული ლიტერატურის დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი - 10 ქულა ▪ კვლევის პროცესში ადეკვატური მეცნიერული მეთოდების შერჩევა და/ან ადაპტირება, მათი გამოყენება. კვლევის სისრულე - 10 ქულა ▪ ანალიზის, არგუმენტირებისა და დასკვნის უნარი: ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნები/კვლევის შედეგები - 10 ქულა ▪ აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი: დაცვის პროცესში დასმულ კითხვებზე ამომწურავი და დასაბუთებული პასუხების გაცემა - 10 ქულა ▪ პრეზენტაციის სტრუქტურა (ვიზუალური და შინაარსობრივი მხარე) - 10 ქულა. **კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები:**) დაკმაყოფილებულია სრულად - მაქსიმალური შეფასების 96-100%;) დაკმაყოფილებულია თითქმის სრულად, არის უმნიშვნელო ხარვეზები/შენიშვნები - მაქსიმალური შეფასების 81-95%;) მეტწილად დაკმაყოფილებულია, არის ხარვეზები - მაქსიმალური შეფასების 61-80%;) ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი - მაქსიმალური შეფასების 36-60%;) მეტწილად არ არის დაკმაყოფილებული - 1-35%;) სრულიად არ აკმაყოფილებს - 0%. თითოეულ რუბრიკაში შესაძლებელია არამთელი შეფასება, საბოლოო შედეგი მრგვალდება მთელ რიცხვამდე.
ცვლილება	ორ საგანს „ქიმიური ექსპერტიზის სამართლებრივი საფუძვლები“ და „ექსპერიმენტის მათემატიკური დაგეგმვა“ შეეცვალა სტატუსი და არჩევითის ნაცვლად გახდა სავალდებულო. შესაბამისი ცვლილება შევიდა სასწავლო გეგმაში, სილაბუსებში და კურიკულუმის რუკაში.
ცვლილება	რამდენიმე სილაბუსში განახლდა ლიტერატურა.

საფუძველი	აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები

საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“:

ცვლილება	მეოთხე სწავლის შედეგი: „შეუძლია ქიმიური ექსპერიმენტის ტრადიციული და ზოგიერთი უახლესი მეთოდებით კვლევითი პროექტის წინასწარ განსაზღვრული მითითებების, აგრეთვე სიტუაციური პირობების მიხედვით განხორციელება“; შედეგის მისაღწევად რეკომენდაციების შესაბამისად საბაკალავრო ნაშრომი გახდა

ხანგრძლივი და ცხარე დისკუსია გამოიწვია უცხო ენის შესახებ ცვლილებამ. აკადემიური საბჭოს წევრების მ. კოპალეიშვილის, გ. ფერაძის, მ. ჩიტაშვილის აზრით დაუშვებელია მაგისტრატურაში უცხო ენის ცოდნის დადასტურება და სწავლება სათანადოდ არ ხდებოდეს თსუ-ში. ეს თსუ-ს სტუდენტს არაკონკურენტუნარიანს გახდის და აუცილებელია უცხო ენის ხელშეწყობა, გაძლიერება, არათუ მისი ამოღება წინაპირობიდან. დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ რ. ხომერიკი, მ. ხაჩიძე.

აკადემიური საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კენჭი უყარეს საკითხს, ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 6: *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცება;*

მ. ლობჟანიძემ წარუდგინა აკადემიურ საბჭოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგები. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსმა ჩაიარა პროცედურების დაცვით და სამივე მიმართულებით - მიკროეკონომიკის კათედრაზე, გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრაზე და ეკონომიკისა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრაზე შეირჩნენ კანდიდატები, რომლებმაც კონკურსის ორივე ეტაპი წარმატებით გაიარეს და ფარული კენჭისყრით ერთხმად იქნენ არჩეულნი.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს, ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 7: *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესში განსახორციელებელი ცვლილება;*

გ. ღაღანიძემ წარუდგინა აკადემიურ საბჭოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება - ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესში ცვლილების განხორციელების შესახებ. კერძოდ, შესაბამისი დადგენილების №1 დანართს მე-7 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც ზღუდავს ან საფრთხეს უქმნის ფიზიკურ პირთა გადაადგილებას ან შეკრებას, ფაკულტეტს ქონდეს საშუალება დეკანის საარჩევნო პროცედურა განახორციელოს დისტანციურად, კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს, ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 8: *ცვლილებების განხორციელება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში;*

ლ. საბაურმა წარუდგინა აკადემიურ საბჭოს **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები:

1. **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“:** *ცვლილების აღწერა*:

- საგანმანათლებლო პროგრამაში (2021-2022 სასწავლო წლის მე-2 გაზაფხულის სემესტრი) შეიცვალა:
  - სავალდებულო სასწავლო კურსის „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, შესაბამისად იკითხება „***წინაპირობის გარეშე***“ (სილაბუსის ავტორები პროფესორი სიმონ გელაშვილი, ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე);
  - სავალდებულო სასწავლო კურსის „ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლები“ წინაპირობა, შესაბამისად ფიქსირდება „***მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1***“ (სილაბუსის ავტორი

პროფესორი ომარ ფურთუხია);

- საკონტაქტო საათების მოცულობა, კერძოდ, ფიქსირდება: **2 სთ. ლექცია და 2 სთ. პრაქტიკული**.

***საფუძველი**: სასწავლო კურსების წინაპირობების შესაბამისობაში მოყვანა.*

2. **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“:** *ცვლილების აღწერა*:

- საგანმანათლებლო პროგრამაში (2021-2022 სასწავლო წლის მე-2 გაზაფხულის სემესტრი) გასწორდა ტექნიკური ხარვეზი სავალდებულო სასწავლო კურსის „მენეჯმენტის საფუძვლები“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა და იკითხება „**წინაპირობის გარეშე**“ (სილაბუსის ავტორები: პროფესორი დავით ნარმანია, ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი).

აფუძველი: სასწავლო კურსის წინაპირობის ტექნიკური შეცდომის გასწორება.

3. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“:**

ცვლილების აღწერა: საგანამანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსებში დაშვების წინაპირობის ცვლილებების განხორციელების შესახებ

- საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალა დაშვების წინაპირობა სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი“, კერძოდ უნდა ფიქსირდებოდეს „***სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში***“.

საფუძველი: სასწავლო კურსების წინაპირობების შესაბამისობაში მოყვანა.

4. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტის - ლიონ 2 (საფრანგეთი) ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“** -*ცვლილების აღწერა*: საგანამანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსებში დაშვების წინაპირობის ცვლილებების განხორციელების შესახებ

- საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალა დაშვების წინაპირობა სასწავლო კურსისთვის „გასტრონომიული ტურიზმი“ კერძოდ უნდა იკითხებოდეს **წინაპირობის გარეშე**, ნაცვლად დაშვების წინაპირობაში წარმოდგენილი სასწავლო კურსისა „ტურიზმის მდგრადი განვითარება“.

საფუძველი: სასწავლო კურსების წინაპირობების შესაბამისობაში მოყვანა.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 9: *მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცება;*

გ. ლობჟანიძემ წარუდგინა აკადემიურ საბჭოს მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგები. აღინიშნა, რომ კონკურსმა ჩაიარა პროცედურების დაცვით და შეირჩნენ ღირსეული კანდიდატები.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 10: *მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;*

ი. გრძელიძემ წარუდგინა აკადემიურ საბჭოს 2022 სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი კომპეტენციის მინიმალური ზღვარის მითითებით.

აღინიშნა, რომ ანკეტა-კითხვარი ყალიბდება ფაკულტეტების აქტიური მონაწილეობით და მათი მოთხოვნების გათვალისწინებით.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 11: *შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გამო აკადემიური საბჭოს დადგენილებებში განსახორციელებელი ცვლილებები.*

აკადემიური საბჭო გაეცნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წერილებს, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორების დავით გოცირიძის, ასიცირებული პროფესორ გიორგი ყუფარაძის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ომარ მუკბანიანის და მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის ა. ელისაბედაშვილის გარდაცვალების გამო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციას შეიცავდა და საჭიროებს აკადემიური საბჭოს შესაბამის დადგენილებებში ცვლილებას.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა დამტკიცება დადგენილებებით.

გიორგი შარვაშიძე
აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
რექტორი

მზექალა აჭაიძე
აკადემიური საბჭოს სხდომის მდივანი
რექტორის აპარატის და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი